საქართველოს
პარლამენტი

„პროგრესული ალიანსის“ შეხვედრაზე მივლინების ანგარიში (2016 წელი, 1 დეკემბერი)

მივლინებული: საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე დიმიტრი ცქიტიშვილი

მივლინების მიზანი: „პროგრესული ალიანსის“ სამუშაო შეხვედრაში მონაწილეობა; ორმხრივი და მრავალმხრივი ურთიერთობების დამყარება;

მივლინების ადგილი: ბერლინი, გერმანია

მივლინების თარიღი: 2016 წლის 1 დეკემბერი

2016 წლის 1-ელ დეკემბერს, გერმანიაში, ქალაქ ბერლინში დავესწარი "პროგრესული ალიანსის"[1]სამუშაო შეხვედრას, სახელწოდებით: "გეზი -პირდაპირ" („The Way Forward“).

შეხვედრა ჩატარდა გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიისა და მისი იმჟამინდელი ხელმძღვანელის ზიგმარ გაბრიელის მასპინძლობით, პარტიის სათაო ოფისში. შეხვედრას ესწრებოდნენ ევროპის სოციალ-დემოკრატიული პარტიების წარმომადგენლები, პარლამენტის წევრები და ევროპარლამენტარები.

შეხვედრის მთავარი მიზანი იყო მსოფლიოს სოციალ-დემოკრატიული და პროგრესული პარტიების თავშეყრა, ევროპის წინაშე არსებული გამოწვევების მემარცხენე პერსპექტივიდან განხილვა და გამოსავალი გზების ძიება. შეხვედრაზე

[1] პროგრესული ალიანსი არის მსოფლიო მემარცხენე (სოციალისტურ, სოციალ-დემოკრატიულ და პროგრესულ) პარტიათა და ორგანიზაციათა ერთობა, რომელიც 4 წლის წინ ლაიპციგში, ალიანსის სახით ჩამოყალიბდა. მისი შექმნის მთავარი ინიციატორი გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტია (SPD) და მისი ხემძღვანელი ზიგმარ გაბრიელი არიან. "პროგრესული ალიანსის" შემადგენლობაში შედიან ისეთი პარტიები, როგორიცაა იტალიის დემოკრატიული პარტია, საფრანგეთის სოციალისტური პარტია, შვედეთის სოციალ-დემოკრატიული პარტია, ევროპის სოციალისტური პარტია და ა.შ. "პროგრესული ალიანსის" შექმნის მთავარი იდეა იმ საერთაშორისო პლატფორმის შექმნაა სადაც მსოფლიოს პროგრესული პარტიები შეძლებენ თანამშრომლობის დამყარებასა და განმტკიცებას.

ასევე განხილულ იქნა რეგიონული თანამშრომლობის გაღრმავება და ორგანიზაციის შემდგომი განვითარებისა და გაძლიერების გეგმები. განვიხილეთ პროგრესული ალიანსის როგორც სტრუქტურიზებული ორგანიზაციის ჩამოყალიბების შესაძლებლობები.

შეხვედრის ფარგლებში ორმხრივი შეხვედრები გავმართე შვედეთის, იტალიის და გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიების წარმომადგენლებთან, ასევე ევროპარლამენტარებთან. ორმხრივი და მრავალმხრივი შეხვედრებისას განვიხილეთ მომავალი თანამშრომლობის შესაძლებლობები და გეგმები, ასევე საქართველოში მიმდინარე პროცესები, ჩვენს წინაშე არსებული გამოწვევები და მათთან მიმართებაში თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების შესაძლებლობები.

დიმიტრი ცქიტიშვილი

საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე